თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N3

ქ. თელავი 2022 წლის 16 მარტი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, გიორგი ქართლელიშვილი, ივანე კირვალიძე, მამუკა ბურდიაშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** ტელეკომპანია თანამგზავრი - **მარიამ ლუხუტაშვილი, გოგა კაციაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს: ლ. კოჭლოშვილი

2. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი თელავის" წერილის განხილვის შესახებ.

   მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ლევან კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გაიზარდა სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება. კერძოდ გასულ წლებში თუ თანადაფინანსება შეადგენდა 50% წელს არის 100% რაც დადებითად აისახება შესასრულებელი სამუშაოების მოცულობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა **დავით ქსოვრელიშვილს** იმ სოფლებში, სადაც ხდება გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა რამდენი სანათის დაყენებაა შესაძლებელი, აგრეთვე იმ ორ სოფელში სადაც უნდა ჩატარდეს ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები, წარმოდგენილი თანხით შესაძლებელია თუ არა თანამედროვე სტანდარტების დონეზე სამუშაოების ჩატარება და გვაქვს თუ არა უფლება თეთრწყლებში ჩავატაროთ სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაოები, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა არის განათლების სამინისტროს ბალანსზე.

დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ დღეისათვის შუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ გამოყოფილი თანხებით თუ რამდენი სანათის შეცვლა იქნება შესაძლებელი, რადგან ფასები იცვლება ყოველდღიურად. ამბულატორიების რეაბილიტაციის სამუშაოები კი გათვალისწინებულია ორ სოფელში ვარდისუბანსა და გულგულაში. ორივე სოფლის ამბულატორიების შენობებში გათვალისწინებულია ექიმის ოთახის, მოსაცდელისა და აცრის ოთახის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც შეეხება თეთრწყლების სკოლის ეზოს შემოღობვას, მართალია სკოლის შენობა არ ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაგრამ განათლების სამინისტროდან გვაქვს დელეგირებული უფლებამოსილება სამუშაოების ჩატარებაზე.

გადაწყვიტეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: 2. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჩემი თელავის'' წერილის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ლევან კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჩემი თელავის'' სახელით შემოსულია განცხადება, სადაც ითხოვენ

ქ.თელავში ერთ ერთ გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს ქ-ნ მედეა მეზვრიშვილის სახელი. გეოგრაფიული ობიექტის სახელდება ხდება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მან ასევე კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლი და აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას არ გააჩნია უფლებამოსილება გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე ინიციატივის წარდგენაზე.

გადაწყვიტეს: არასამთავრობო ორგანიზაციას „ჩემი თელავი" წარმოდგენილ ინიციატივაზე ეცნობოს შესაბამისი პასუხი.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი